



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის  
ოქმი N16**

ქ. ლანჩხუთი

25. 08. 2017 წელი

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო მიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა ერთი საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს, ასევე მიმართა დეპუტატებს დღის წესრიგის პროექტში საკითხების გადაჯგუფება მომხდარიყო მომხსენებლობის რიგითობის შესაბამისად. მან სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მ. კუნჭულია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N38 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მ. კუნჭულია /

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/ მომხსენებელი გ. ფაცურია/

5. „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი ვ. ჩხაიძე/*

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის №36 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ბიწაძე/*

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტს №25 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ბიწაძე/*

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი რ. ბიწაძე/*

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი რ. ბიწაძე/*

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ი. ჩხაიძე/

11. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ.ლაშხია/

12. სხვადასხვა

**დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.**

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

**მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა მაგული კუნჭულიამ. მან აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშნული იყო მირანდა ბახია, რომელიც საჯარო მოხელეთა კონკურსის გავლის შემდეგ გადაყვანილი იქნა იურიდიულ სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში დღეისათვის მომუშავე საჯარო მოხელეები მათზე დაკისრებულ მოვალეობას ჯეროვნად ართმევენ თავს. მიზანშეწონილია, რომ მოხდეს არსებული შტატის გაუქმება, ე.ი. გამოთავისუფლება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 24 დეპუტატი.

მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.  
მიღებულ იქნა დადგენილება N24 (25.08.2017)

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე :** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N38 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა მაგული კუნჭულიამ. მან აღნიშნა, რომ 2017 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილება. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N38 დადგენილება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 24 დეპუტატი.

მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.  
მიღებულ იქნა განკარგულება N 64 ( 25.08.2017)

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო -სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან განსაზღვრონ ადგილები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად და გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნონ არჩევნების დანიშნვიდან არაუგვიანეს 10 დღისა. ასევე უნდა განისაზღვროს იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოადგინა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მ/წლის ოქტომბერში გამართვა, აუცილებელი გახდა აღნიშნული პროექტის წარმოდგენა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 24 დეპუტატი.**

**მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.  
მიღებულ იქნა განკარგულება N65 (25.08.2017)**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე :** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობის საყანე ფართობებში ფართოდ გავრცელდა „აზიური ფაროსანა“, რომლის მავნეობამაც კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. აქედან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის, 108-ე მუხლისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 18 აგვისტოს №5/42629 წერილის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება – ნაშთად დარჩენილი ბიფენტრინის შემცველი ინსექტიციდი - გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ კარგად ახსოვს შეხვედრები აზიური ფაროსანას წინააღმდეგ სურსათის უვნებლობის ეროვნულ სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელებთან. შეხვედრებს ასევე ესწრებოდა გუბერნატორის მოადგილე, მაგრამ ვერც ერთ დასმულ კითხვაზე ამომწურავი,

დამაჯერებელი პასუხები მათი მხრიდან ვერ იქნა გაცემული. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ პრეპარატ „ბიფეტრინით“ შეწამვლა ეფექტური იქნებოდა პარაზიტთან ბრძოლაში. დღეის მდგომარეობით კი მავნებელმა სრულიად გაანადგურა რეგიონში თხილის, კენკროვანი კულტურის მოსავალი და უკვე სიმინდის ყანებს არიან შესეულები. ყოველივე ამასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ვინმემ უნდა აიღოს.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ზემოთ ხსენებულ შეხვედრებზე, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე გუბერნატორის მოადგილე სოსო ერქომაიშვილი მოსახლეობას თხოვნდნენ, რომ შეწამვლითი სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით უარი არ ეთქვათ, რომ დროულად მოხდარიყო პარაზიტის განადგურება. გარკვეული ადამიანების ჯგუფმა დეზინფორმაცია გაავრცელა და მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანა, ვითომ და პრეპარატ „ბიფეტრინით“ შეწამვლა მავნებელი იყო როგორც ადამიანების ჯამრთელობისათვის, ასევე ზიანის მომტანი იქნებოდა პირუტყვებისათვის შეიყვანა და ამით პროცესი შეფერხდა. იქ, სადაც დროულად განხორციელდა შეწამვლითი სამუშაოები, შედეგი არის ძალიან ეფექტური. მისი თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ დაამარცხა და მიუჩინა თავისი ადგილი „ნაციონალურ მოძრაობა“-ს და „აზიური ფაროსანას“ დამარცხება ნამდვილად არ გაუჭირდება.

საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ გასულ წლებში ე.წ. „ამერიკული პეპლის“ წინააღმდეგ შეწამვლითი სამუშაოების პროცესში ჩართული იქნა ვეტერინერები, რამაც ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. მისი მოსაზრებით, ანალოგიურად უნდა მოხდეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა, რომელმაც უკვე მოსახლეობას სიმინდის ისედაც მწირი მოსავალი ფაქტობრივად გაუნადგურა.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გამოყოფილი 200 000 ლარი იმთავითვე წყალში გადაყრილი ფული იყო, ვინაიდან შესაწამლი პრეპარატი არ იყო ეფექტური. ასევე მისი გამოყენება დაგვიანებით მოხდა. ამას დაემატა სამუშაოების შემსრულებელთა არაპროფესიონალიზმი და არაორგანიზებულობა. დეპუტატის თქმით, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა ჩართული არა მუნიციპალიტეტი, არამედ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელსაც მუნიციპალიტეტზე ბევრად მეტი რესურსი გააჩნია. მუნიციპალიტეტმა არასწორად აიღო პასუხისმგებლობა და იგი დამარცხდა „აზიურ ფაროსანასთან“ ბრძოლაში.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **რომან ბიწამემ** აღნიშნა, რომ აზიური ფაროსანა მართლაც სერიოზული მავნებელია, რომელთანაც ბრძოლაში საქართველო ფაქტობრივად დამარცხდა. ცენტრალურ გაზეთებში სტატიაც გამოქვეყნდა სათაურით „ცუანასთან ბრძოლაში საქართველო მარცხდება“. ეს არის დასავლეთ საქართველოს ტრაგედია, რადგან რეალურად არა მარტო თხილის მოსავლის (ფულადი შემოსავლის) გარეშე დარჩა

გლახობა, არამედ ამ მავნებელმა ფაქტობრივად გაანადგურა კურკოვანი და თესლოვანი კულტურა, ბაღჩეული და ახლა სიმინდის ნათესებს შეესია. დეპუტატი დაინტერესდა, რას აკეთებს ამ დროს ადგილობრივი ხელისუფლება, იმისი ნაცვლად სიმართლე უთხრას მოსახლეობას, რომ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება არ აქვს, ქიმიური წამლობის სამუშაოები დაიწყო გვიან, რათა ადგილი ქონდა ამ საქმეში ხელისშემშლელ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს და ა.შ. ადგილობრივი ხელისუფლება დაადგა მოსახლეობის მოტყუების პოლიტიკის გზას და დაიწყო მათი შეცდომაში შეყვანა პროპაგანდისტული და სხვადასხვა პიარ საშუალებებით. მ/წლის 17 აგვისტოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის (შემდგომში საკრებულოს) ოფიციალურ ფეისბუკ გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია სათაურით „ლანჩხუთში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ შეწამვლის სამუშაოები მიმდინარეობს“. იგივე შინაარსის განცხადებები გაკეთდა მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. რატომ არის ადგილობრივი ხელისუფლების ეს პროპაგანდა ტყუილი? შეიძლება ყველამ არ იცის, რომ ქიმიური წამლობა ტარდება ნიმფის (მატლის სტადიაში). ფაროსანა როცა ზრდასრულია, ამ ეტაპზე ქიმიური წამლობის ეფექტიანობა ნულის ტოლია. მოსახლეობას კი იმედი აქვს, რომ შეიწამლა მავნებელი და გადაურჩათ მოსავალი, ანუ ცრუ მოლოდინებს გაუჩნდა მათ. უფრო მეტიც, თერმული ნისლით ფაროსანას არ ებრძვიან იგი ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ გამოიყენება. მისი თქმით, არ ვარგა ტყუილის თქმა და დუმილი, რადგან სიმართლის სათქმელად და მათ ინტერესების დასაცავად აირჩია ისინი მოსახლეობამ.

დეპუტატმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ აუცილებელია მთავრობამ ხალხს მისცეს კომპენსაცია იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც მათი გამოისობით იზარალა მოსახლეობამ.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურიამ** განმარტა, რომ „აზიური ფაროსანას“ წინააღმდეგ საბრძოლველად ახალი ხერხი მუშავდება, კერძოდ მოსახლეობას დაურიგდება მექანიკური დამჭერები, ხოლო შემდგომ მავნებლის განადგურება მოხდება იგივე პრეპარატით „ბიფეტრინით“.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა 24 დეპუტატი.**

**მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N66 ( 25.08.2017)**



**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე:** „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მენეჯერმა, ვლადიმერ ჩხაიძემ.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**ესწრებოდა 24 დეპუტატი.**

**მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N67 ( 25.08.2017)**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის №36 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სადაც საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ახლებურად რეგულირება განისაზღვრა, ამიტომ მიზენშეწონილია დღეს მოქმედი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ოქტომბრის №36 დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდეს.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 24 დეპუტატი.**

**მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N 25( 25.08.2017)**

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტს №25 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწამემ. მან აღნიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სადაც საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ახლებურად რეგულირება განისაზღვრა, ამიტომ მიზენშეწონილია დღეს მოქმედი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის №25 განკარგულება ძალადაკარგულად გამოცხადდეს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 24 დეპუტატი.**

**მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N68 ( 25.08.2017)**

**დღის წესრიგის მერვე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწამემ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხაში ახალი რეგულაციებით მოხდა ხელშეკრულებით მომუშავე მუშაკთა შტატში შეყვანა, ასევე რამდენიმე დამხმარე მოსამსახურესათვის ხელშეკრულების გაფორმება. საჯარო სამსახურის ბიუროდან არის რეკომენდაცია, რომ სამტატო ნუსხაში ერთიანად იყოს შესული მუშაკთა რაოდენობა,

რადგან იოლი დადგინდეს, თუ ამა თუ იმ საჯარო დაწესებულებაში რამდენი მუშაკი მუშაობს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 24 დეპუტატი.

მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N69 ( 25.08.2017)

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლიდან გამომდინარე. ვინაიდან, ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, კომისიის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 24 დეპუტატი.

მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N70 ( 25.08.2017)

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ია ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 2 აგვისტოს N01/3007 წერილის თანახმად, რომელიც ეხება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციებს, წარმოადგინა - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. მისი თქმით, ცვლილება განპირობებულია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლიდან გამომდინარე და მიზანშეწონილია დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 24 დეპუტატი.**

**მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N71 ( 25.08.2017)**

**დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 6 ივლისის N1394 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის გამოიყო 1010000 ლარი. აღნიშნულ ღონისძიებებზე ელექტრონული ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიაა 15133 ლარი, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამდგენი კომისიის 2017 წლის 10 აგვისტოს სდომის N2 ოქმის საფუძველზე უნდა მიიმართოს ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებულ ობიექტებზე: 1. სოფელ ნიგვზიანში, დავით მოისწრაფიშვილის ეზოსთან სახიდე გადასასვლელზე - 9926 ლარი. 2. სოფელ არჩულში, თამაზ აბაშიძის ეზოსთან რკ. ბეტონის არხის მოწყობა და გზის მოხრეშვა - 5208 ლარი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით 7 თვეში გაწეული ხარჯების ანალიზის შედეგად მიზანშეწონილია განხორციელდეს კორექტირებები. კერძოდ: საკრებულოს არაფინანსური აქტივების მუხლი შემცირდეს 6500 ლარით და გაიზარდოს საკრებულოს ოფისის მუხლი 6500 ლარით საკანცელარიო საქონლის შესაძენად, წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების

ფინანსური უზრუნველყოფის ვალდებულების კლების მუხლი შემცირდეს 36000 ლარით და გაიზარდოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა ხარჯების მუხლი 36000 ლარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების შესრულების მიზნით. გამგეობის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 3000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს გამგეობის მივლინების მუხლი 3000 ლარით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს 2018 წლის პროგრამული ბიუჯეტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამგეობაში დასაქმებულ მუშაკთა დაგეგმილ ტრენინგზე მივლინების ხარჯების დაფინანსება, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის სუბსიდირების მუხლი შემცირდეს 17950 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 17950 ლარით.

დეპუტატმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ გამგებლის ზაზა ურუშაძის სიჯიუტის გამო წინა მოწვევის საკრებულოს თანამდებობის პირებს და აპარატის თანამშრომლებს არ მისცეს პრემია. საკრებულოს მოქმედმა თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ ორი წლის წინ ზეწოლის შედეგად გააუქმა ბრძანება პრემიის გაცემის თაობაზე, რაზეც სასამართლომ მუნიციპალიტეტისთვის გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. მისი თქმით სირცხვილია ამ საკითხის კიდევ ერთხელ გაჯანჯლება და მოუწოდა კოლეგებს ამ სხდომაზე მიეღოთ გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით ყოველგვარი ადმინისტრაციული წარმოების გარეშე შეეტანათ საკრებულოს მუხლში, რადგან ხაზინას გაეჩერებინა და ხვალიდანმევე აღსრულება გაეკეთებინა გამგეობის საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელს გასაგებია ამ საკითხთან დაკავშირებით ბრძანებას ვერ დაწერს, რადგან ამის მორალური უფლება არ ექნება ამიტომ საკითხი მიღებულ იქნას არა დადგენილებით, რომელსაც არ დასჭირდება ადმინისტრაციული წარმოების დაწყებ ,არამედ მიღებულ იქნას განკარგულების საფუძველზე.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ის თანამშრომლები რომლებიც სამართლიანად იმსახურებდნენ პრიმიის მიღებას საკითხს მიუდგნენ სახელმწიფოებრივად და არ მოითხოვეს ნაცდური დღეების ანაზღაურება.

გამგეობის იურიდიული სამსახურის **უფროსმა შოთა ჩაგუნავამ** აღნიშნა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება, რომ უზენაესია და ის აუცილებლად უნდა აღსრულდეს ამაზე არავინ არ დაობს, საქმე იმაშია, რომ ბიუჯეტში მუხლიდან მუხლში ცვლილება სამართლებრივად განკარგულების საფუძველზე ვერ მოხდება, ვინაიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დადგენილების საფუძველზეა მიღებული და მასში ცვლილება მხოლოდ მისი მიღების ტოლფასი აქტის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **რომან ბიწაძე** აღნიშნა, რომ როდესაც ფეხბურთისთვის არის საჭირო თანხები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მარტივად ხდება მუხლიდან მუხლში ნებისმიერი გადანაცვლება, იგი დაინტერესდა, თუ რატომ არ არის ამ შემთხვევაში იმ

ადამიანებისთვის პრემიის თანხების გაცემა, რომლებიც სამართლიანად იმსახურებენ მას.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ არსებობს მუხლი წინა წლების დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების. ვინაიდან იან ეს არის გასული წლების დავალიანება ბიუჯეტში ასახული უნდა იყოს როგორც შემოსავლის ასევე გასავლის ნაწილში, სხვაირად ხაზინის მიერ მოხდება უკან დაბრუნება, ამიტომ საჭიროებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამის მუხლში გარკვეულ ცვლილებას.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ მიმდინარე თვეში ალბათ მოწვეულ იქნება რიგგარეშე საკრებულოს სხდომა და მსგავსი თემების განხილვა რიგგარეშე სხდომის ფორმატში განეხილათ, ახლა კი კენჭისყრაზე საკითხი გაეტანათ წარმოდგენილი ვარიანტით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.**

**მომხრე 20 წევრი, წინააღმდეგი 3 წევრი ( კახაბერ ასკურავა, გიორგი გოგუაძე, ელგუჯა ჩხაიძე)**

**მიღებულ იქნა განკარგულება N72 ( 25.08.2017)**

**სხვადასხვა:**

დეპუტატი **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბმა „ლანჩხუთის გურიას“ მერ თუ მოხდა ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დარღვევით ნასესხები ფულის დაბრუნება მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის, ასევე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ლანჩხუთის სერვისი“-თვის. მისი თქმით ამ უკანონო ფაქტზე პასუხისმგებლობა ვინმემ აუცილებლად უნდა აიღოს.

საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ უნდა მოხდეს ბიუჯეტში ერთჯერადი დახმარების მუხლის გაზრდა ვინაიდან მოსახლეობის მხრიდან მომართვიანობა არის ძალიან მაღალი, ასევე დააყენა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულების პედაგოგების ხელფასის მომატების საკითხი.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარემ **ელგუჯა ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ გასულ წელს მოხდა ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯაბურღილის გაკეთება, რომელიც შესაბამისი ავზის საშუალებით უზრუნველყოფთა წყალმომარაგებას. აღნიშნული ჯაბურღილი აპრილის თვიდან არ მუშაობს და მოსახლეობა ფაქტობრივად წყლის გარეშეა დარჩენილი. უკვე ერთი თვეა ამ პრობლემასთან დაკავშირებით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომლის მხრიდან რეაგირება დღემდე არ მომხდარა.

დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ საბავშვო ბაღის წინ აუცილებელია ზებრა გადასასვლელის გაკეთება.

**ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

ბესიკ ტაბიძე

სხდომის თავმჯდომარე  
საკრებულოს ბიურო

